2-4971/20
20-04-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ბიუროს 2020 წლის 16 მარტის გადაწყვეტილებით N 335/14 საქართველო პარლამენტის წევრების სულხან მახათაძისა და გოგა გულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/436; 19.02.2020). კანონპროექტის წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი. წამყვანი კომიტეტის მიერ კანონიპროექტის განხილვის ბოლო ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 12 მაისი.

გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანა იმყოფება საგანგებო მდგომარეობაში, რაც აბრკოლებს განსახილველი კანონპროექტის დამუშავების, მისი სრულყოფილად მომზადების მიზნით, გთხოვთ, საქართვეოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული კანონპროექტის განხილვის ვადა წამყვანი და სავალდებულო კომიტეტებისთვის გააგრძელოთ 2 თვით.

დანართი (1 ფურც.)

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნინო წილოსანი

2-4963/20
16-04-2020

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
კომიტეტის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ საქართველო პარლამენტის წევრების: სულხან მახათაძისა და გოგა გულორდავას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი: „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/436; 19.02.2020).

საკანონმდებლო ინიციატივაზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი, ხოლო სავალდებულო კომიტეტად, სხვა კომიტეტებთან ერთად, განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი (განხილვის ბოლო ვადა 2020 წლის 28 აპრილი).

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა იმყოფება საგანგებო მდგმარეობის რეჟიმში, რაც დამაბრკოლებელ გარემოებად იქცა განსახილველი საკითხების დამუშავებისა და საკომიტეტო განხილვის კუთხით, გთხოვთ, მიმართოთ პარლამენტის ბიუროს, რათა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვისა და განსახილველი საკითხის სრულყოფილად მომზადების მიზნით მოხდეს სავალდებულო კომიტეტისათვის დადგენილი განხილვის ვადის 2 თვით გაგრძელება.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი